ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №568799

ნომერი: AR1111290

თარიღი : 22.02.2013

გაცემის თარიღი : 07.03.2013

გაცნობის თარიღი : 08.03.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აღმართი ბეთლემი , N 16ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესიკ ორთოიძე პ/ნ 11001008041
- თბილისი მისამართის გარეშე

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "ძველი თბილისი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406032350
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შპს "ძველი თბილისი"
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 406032350

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 542.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 403.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 1330.0

- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 8.0

განცხადება და თანდართული დოკუმენტები განიხილა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებულმა სამეცნიერო–მეთოდურმა საბჭომ (ოქმი N8, 26.02.13წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც დადებითი შეფასება მიეცა ქ. თბილისში არსებული შენობის დემონტაჟის საკითხს – დემონტაჟი განხორციელდას აუცილებლად არქიტექტორ–რესტავრატორის ზედამხედველობით.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

საკითხის შესწავლისას სამსახურის მიერ თქვენს მიერ ატვირთულ დოკუმენტაციაში გამოვლენილი იქნა ხარვეზები, კერძოდ:

1. წარმოდგენილი იქნეს საბჭოს რეკომენდაციების შესაბამისი, კულტურის სამინისტროსთან და საქართველოს "იკომოსთან" შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაცია და შესაბამისი შეთანხმების დამადასტურებელი საბუთი;
2. დემონტაჟის პროექტში წარმოდგენილი იქნეს:
2.1 სრულყოფილი სადემონტაჟო გენგეგმა მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების დატანით, გრაფიკულად მკაფიოდ გამოყოფილი სადემონტაჟო შენობა–ნაგებობების ჩვენებით;
2.2 სადემოტაჟო შენობა–ნაგებობების ანაზომები.
3. არ არის წარმოდგენილი თანამესაკუთრის დაგეგმილ სამუშაოებზე შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა და საკუთრების დამადასტურებელი საბუთი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7) დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.